საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

შაბათი აგვისტოს 19
1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალ. ტფილისის აღმასკომის
გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს, 21 აგვისტოს, დღის 12 საათზედ აღმასკომის დარბაზში

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა

სასწორზედ მდებარე მალაკნის მოედანზედ.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახში საიჯარო მაგიდის გამგესთან მ. დარახველიძესთან. 2—2

ორშაბათს, 21 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება

ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა

დღის წესრიგი:

1. ტფილისის ქალაქის აღმასკომის მუშაობის გეგმა.
2. მოხსენება კომუნალური მეურნეობის ქალაქის წარმოების მდგომარეობის შესახებ.
3. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

2—2 მდივანი **ხუნდაძე.**

განცხადება
(თბილისის მცხოვრებთა საყურადღებოდ)

თბილისის ქალაქის აღმასკომთან არსებული შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გამტარებელი კომისია

ამით აცხადებს, რომ თანახმად თბილისის ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა № 6 შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის მაგიერ ფულის აკრეფა თბილისში იწყება ამა წლის 21 აგვისტოდან.

ფული მიიღება სამასამართლო მაგიდის წარმომადგენლებთან კომისარიატებში დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ფული უნდა შეკრიბონ მდგმურებიდან, თანახმად § 3 დადგენილებისა №6 და წარადგინონ სახლის პატრონებმა ან მათ მაგიერ პირებმა.

ფულის გადამხდელთ მიეცემათ სპეციალური მარკები

ვინაიდან ფული უნდა იქნას გადახდილი ოქროს კურსით, კურსი იქნება გამოცხადებული ცალკე ა. წ. 20 აგვისტოს.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ნასყიდაშვილი.**

4—2 პასუხის მგებელი მდივანი, კომისიის წევრი ა. რუხაძე.

მოძრავი დასი

მე 20 საუკუნე მართლაც რომ მდიდარია სხვა და სხვა სანახაობით. განსაკუთრებით მოულოდნელობას და ნერვიულობას იჩენს ეს საუკუნე პოლიტიკის სფეროში. მრავალი მოვლენა შეუჩნევი და უსახო, შესამჩნევი და ვერაგული სახით წამოაყენა ამ საუკუნემ. ერთ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ამ საუკუნის მიერ დიპლომატთა დასიდან მოძრავი დასის შექმნა.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ამ მოძრავი დასის გასტროლები ვერსალიდან დაწყებული ვიდრე დღემდე ზედი ზედ იმართება, მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა საკმაო თანხის შეკრება დასის შესანახად. გენუასა და ჰააგის შემდეგ უკანასკნელი გასტროლი ლონდონში იყო დანიშნული, მაგრამ ნაუენიდან მოსული ცნობებით, ეს გასტროლიც ზარალით დამთავრდა, ე. ი. წოდ. ლონდონის თათბირი 14 აგვისტოს დაიხურა, რადგან შეთანხმება შეუძლებელი გახდა.

მართალია, რომ დიდი კურიოზების ეპოქაში ვცხოვრობთ. კვლავ ახალი კონფერენციის მოწვევაა გადაწყვეტილი, რომელიც უნდა შეიკრიბოს ან ვენეციაში და ან ბრიუსელში, ვითომც ჰაერის გამოცვლა განკურნავდეს შექმნილ მდგომარეობას. მოძრავი დასის დასასრული არ ჩანს და ვფიქრობთ ამ მოხეტიალე მსახიობებს რაიმე სენი ქუჩაში მოუსწრებს. მართლაც რომ დიპლომატიის მეტი გამასხარავება შეუძლებელია.

ლონდონის თათბირის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ უკანასკნელი შეთანხმების მიზანი ყოფილიყო მიღწეული. თუ ვაშინგტონმა მსოფლიო მაშტაბით ვერ შესძლო შეთანხმება, გენუამ და ჰაგამ ევროპის მაშტაბით ვერ შესძლო ასეთი აქტის მოხდენა, ლონდონში მხოლოდ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების შეთანხმებაც ცდა იყო, რომელსაც უკანასკნელი პოზიცია მაინც უნდა გაემაგრებინა. როგორც ვხედავთ ესეც შეუძლებელი შეიქნა.

ამას წინად ჩვენ კიდეც ვწინასწარმეტყველეთ ლონდონის კონფერენციის დაშლის აუცილებლობა. ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ ის ფაქტორები, რომელნიც აუცილებლად ხდიდენ ლონდონის კონფერენციის ალსასრულს და ეხლა მას აქ აღარ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს ერთი ფაქტია ევროპის ორიენტაციის დამსხვრევის ნათელსაყოფად იმ ფაქტთა წყობაში, რომელსაც ადგილი ქონდა ბევრჯელ უკანასკნელი ოთხი წლის გასწვრივ.

როგორც დეპეშები გვამცნობენ, მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაციის სხდომაზე შანცერმა გააკეთა მოხსენება იტალიის დელეგაციის სახელით. იგი შეეხო გერმანეთის მორატ. და ევროპის ეკონომიური მდგომარეობის საკითხებს და განაცხადა, რომ" თუ არ იქნა გამონახული გზა საკითხის დამაკმაყოფილებელ გადაჭრისათვის, ტყუილი იმედია ევროპაში დამყარდეს მშვიდობიანობა და დაუბრუნდეს იგი ნორმალურ, მშვიდობიან ეკონომიურ ცხოვრებას". მან დასძინა, რომ თუ ვალების საკითხი არ იქნა გადაწყვეტილი „ევროპას არ შეუძლია თავისუფლად ამოისუნთქოს".

შანცერი აღნიშნავს, რომ იტალიამ დიდი ზარალი მიიღო ომის პროცესში და მოითხოვს დაკმაყოფილებას. იგი სწუხს, რომ ომის ნადავლის განაწილებაში მას არ მიუღია მონაწილეობა. პუანკარე საფრანგეთის სახელით ხომ ძილშიაც ვალებს ძახის და ჯორჯი უფრო დიპლომატიურად პუანკარეზედ მეტს ითხოვს.

გერმანეთი ნოტით ევედრება მოკავშირეებს, რომ მას არ შეუძლია 15 აგვისტოს მთელი გადასახადი, 2 მილ. გირ. სტერლინგი, გადაიხადოს და იგი გაიღებს 800.000 გირ. სტერლინგს, რათა დაარწმუნოს მოკავშირეთა სახელმწიფონი, რომ იგი მზადაა გადასახდელისათვის შეძლების მიხედვით.

როგორც ვიცით, გენუაში და ჰააგაში ორი სიტყვა განსაკუთრებით ხმარებაში იყო შემოღებული—ვალები, გადახდა რუსეთის მიმართ მოკავშირენი. კრედიტი—უპასუხებდა რუსეთი. ამ ორი სიტყვის გარშემო დაასრულა ეს ტრაგი-კომედია. ლონდონის თათბირზედ მხოლოდ ერთი სიტყვა დარჩა ხმარებაში—ვალები.

ვალები, ვალები და ვალები—გაიძახოდნენ ყოველი მხრით, მაგრამ გადამხდელი კი არსად ჩანდა. თავისი მხრით ამერიკამაც ატლანტის ოკეანეს აქეთ გადმოაწოდა ხმა და შემოსძახა ვალების მაძიებელ ქვეყნებს—ვალების გადახდა საჭიროა ვალების ძახილი გაისმის ყოველი მხრით, მაგრამ ვინ არის მისი გადამხდელი?

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რა გაკვეთილები უნდა მივიღოთ ამ მოვლენებისაგან? ეს ნიშნავს იმ გარემოებას, რომ ევროპის ეკონომიური ცხოვრება [illegible] ამერიკაშია მომწყვდეული. წარმოების საშუალების ცენტრი ამერიკაშია გადასული, კოლონიები უკვე აღარ წარმოადგენენ წინანდებურად საექსპლოატაციო ბაზას, რადგან ადგილობრივად უკვე განვითარებულია კოლონიებში წარმოება, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სხვა და სხვა კომბინაციების გამო, რომელშიაც ამერიკის კაპიტალმა შესამჩნევი როლი შეასრულა შეურიგებელი ანტაგონიზმი სუფევს. ამიტომ ვერც ვაშინგტონმა მოგვცა მსოფლიო მაშტაბით ბურჟუაზიის ფრონტის გამართულება, ვერც გენუამ და ჰააგამ მოგვცა ევროპის მაშტაბით ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა და ვერც ლონდონის კონფერენციამ მოგვცა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ფრონტის შექმნა. ამიტომ არის, რომ შანცერის სიტყვით, რომ ვსთქვათ „ევროპას თავისუფლად სუნთქვა არ შეუძლია".

ვისაც მხედველობითი აპარატი სავსებით მოშლილი არა აქვს, ან აზროვნების ცენტრი დაზიანებული, ნუ თუ კიდევ ვერ დაინახავს, რომ ევროპის ორიენტაცია მხოლოდ რეაქციონური ილიუზიაა და მეტი არაფერი?

სად გაიმარჯვა ევროპამ? რომელ საკითხში მიაღწია მიზანს? რა გააკეთა მან? რა პერსპექტივები აქვს ევროპის შემყურე ძალებს? ამაზე დადებით პასუხს დღეს ვერ იძლევიან ჩვენი მეზობლებიც კი მარჯვნიდან, რომლებიც ანგლოფილობაში ლორდ კერზონს გადააჭარბებენ.

საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან, მემარჯვენე პარტიები ხალხს ჩასჩიჩინებდნენ ევროპის იმედს, ევროპის ძლიერებას, ევროპის მიერ „განთავისუფლების" შესაძლებლობას. ჩვენ იმთავითვე მივუწოდეთ ქართველ ხალხს, რომ ეს იყო ავანტიურა და მას ევროპა ვერაფერს ვერ მისცემდა. დღეს საკმაო დრომ განვლო და დროა ვიკითხოთ—ვინ გამართლდა?

შესაძლებელია დიდი სოციალური აფეთქების გამო ხალხი მოატყუო, აცდინო სწორ გზას, შესაძლებელია ხალხმა ასეთ მომენტში თავისივე ხელით დაამსხვრიოს თავისი მიზანი, უარყოს სწორი გზით მსვლელობით მიმართვა, ყოველივე ეს შესაძლებელია აფორიზმული მასის მიერ აფექტის გამო, მაგრამ პოლიტიკური პარტია ხომ აფორიზმის უარყოფა, იგი ხომ ხალხის ხელმძღვანელია ყოველთვის და მით უფრო რთულ მომენტში.

შესძლო კი ამ როლის შესრულება ჩვენში არსებულმა მემარჯვენე პოლიტიკურმა პარტიებმა? დღეს კარგათ უნდა ხედავდეს თვით მემარჯვენეთა თანამგრძნობნიც, რომ ასეთი რამ მემარჯვენე პარტიებმა ვერ შესძლეს. ისინი შედგნენ უსწორო გზაზე და „ეროვნული მოღვაწეების" იარლიყით ეროვნების დასამარების საქმეს ემსახურებიან ობიექტურად.

პოლიტიკა ხომ შედეგებით უნდა გაიზომოს და ნუ თუ მემარჯვენეთა ლიდერებს არ უნდა მოეთხოვოს ანგარიში მასამ მათი პოლიტიკისა? როდემდის უნდა ვიყოთ [illegible] პოლიტიკის შემყურე? შეუძლებელია მოძრავი დასის გასტროლების კვლავ იმედებით? გონს მოვიდეთ და ქართველ ხალხს ვემსახუროთ მოძრავი დასები ვერავის იხსნის.

ხერ. ამაღლობელი.

გერმანია და ანტანტა

პუანკარეს ჟინიანობა.

ნაუენი. 17 აგვისტო. ინგლისის მთავრობა წინადადებამ მისცა მოკავშირეებს იმ ვადის გაგრძელებაში, რომელითაც გერმანიას მორატორიუმი ექნება მიცემული. არ მოსთხოვონ თავიანთ მოვალეებს ვალისა და პროცენტების გადახდა. ეს წინადადება მიიღეს ყველა დელეგაციებმა პუანკარეს გარდა, რომელიც გარანტიებს მოითხოვდა. ამის საპასუხოთ ლლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისი სავსებით კმაყოფილია იმ გარანტიებით, რომელიც შეიმუშავა გარანტიების კომისიამ.

გერმანიის ნოტა.

ნაუენი. 17 აგვისტო. გერმანია მოკავშირეებისადმი მიმართულ ნოტაში აცხადებს, რომ მას შეუძლია შეიტანოს მხოლოდ ნახ. მილიონი გირვანქა სტერლინგი აგვისტოს გადახდის ანგარიშში. მთელი 2 მილიონი გირვ. სტერლ. გადახდა გერმანიას არ შეუძლია, რადგანაც ძალიან დაცემულია მარკის კურსი და ამასთან პურის ფასები კი ზომაზე მეტად აწეულია.

გადასახლება ელზას ლოტარინგიიდან

ნაუენი. 17 აგვისტო. გაზ. „ჟურნალ დე ჟენევის" სტრასბურგის კორესპონდენტი, გერმანელების ელზას-ლოტარინგიიდან გადასახლებას უაზრობას უწოდებს.

იტალიანურ წრეებში.

ბორდო 17 აგვისტო. ლონდონის კონფერენციის მარცხს არ გამოუწვევია გაკვირვება იტალიაში იტალიის პრესის ცნობით იტალიის პოზიცია დარჩება უცვლელი და ყოველთვის ოპოზიციას გაუწევს გერმანიის საკონტრიბუციო საკითხის დაჩქარებითა და მოუფიქრებლად გადაწყვეტას. გერმანიის მიერ ვალების გადახდის საკითხი არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნას მოკავშირეთა ვალების საკითხის დამოუკიდებლივ.

ბელგია ეთანხმება საფრანგეთს.

ბორდო. 17 აგვისტო. გაზ. „პტი ჟურნალის" ცნობით ვენის, ლონდონიდან წამოსვლის წინ, თათბირი ქონდა კემელმანთან მორატორიუმის შესახებ ფენიმა აცნობა კემელმანს, რომ იგი მისცემს ინსტრუქციებს საფრანგეთის თვალსაზრისის გაზიარებისა და გერმანიისათვის მორატორიუმის მიცემაზე უარის განცხადების შესახებ. ამ პირობებში, გაზ. პტი ჟურნალის" აზრით უეჭველია ის, რომ გერმანიას მორატორიუმს არ მისცემენ.

გართულებული მდგომარეობა.

ბორდო. 17 აგვისტო. ბერლინში გუშინ კაბინეტი იხილავდა ლონდონის თათბირის მარცხის გამო შექმნილ მდგომარეობას. არავითარი დადგენილება არ ყოფილა მიღებული. საკითხის განხილვა გაგრძელდება დღეს.

არ არის მოსალოდნელი.

ბორდო 17 აგვისტო. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ პალატის მოწვევა არ არის მოსალოდნელი.

საკონტრიბუციო კომისიაში.

ბორდო 17 აგვისტო. ფიქრობენ, რომ ხუთშაბათს გაიმართება საკონტრიბუციო კომისიის სხდომა მორატორიუმის საკითხის შესახებ. „ტანი" აცხადებს, რომ კომისიის შინაური წესრიგის მიხედვით, ხმის უმრავლესობა ეძლევა საფრანგეთის წარმომადგენლის დიუბუას.

ბელგიის პრესის აზრი.

ბორდო 17 აგვისტო. ბელგიის გაზეთების უმრავლესობა აკრიტიკებს ლოიდ ჯორჯის პოზიციას და აცხადებს, რომ სწორედ ამ პოზიციამ გამოიწვია ლონდონის თათბირის მარცხი იმავე ბელგიის პრესის აზრით, ბალფურის ნოტა მოკავშირეთა ვალების შესახებ, არის იგივე უხეში გამოსვლა.

ვინ იყო მიზეზი ლონდონის თათბირის მარცხისა.

ბორდო 17 აგვისტო. გაზეთი „ვესტმინსტერ გაზეთი" აცხადებს, რომ ბალფურის ნოტა შეიქნა მიზეზი ლონდონის თათბირის მარცხისა.

ძლიერი შთაბეჭდილება.

ბორდო. აგვისტოს 17-ს ლონდონში, გერმანიის მარკის კურსის ახალმა დაცემამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

საფრანგეთი ემზადება.

ბორდო. აგვისტოს 17-ს ოთხშაბათს საფრანგეთის კაბინეტი იხილავდა იმ ზომებს, რომელიც იქნებიან მიღებულნი საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

ვირტის განცხადება.

ბორდო. აგვისტოს 17-ს გაზ. „დეილი ქრონიკლის" თანამშრომელთან ინტერვიუში კანცლერ ვირტმა განაცხადა, რომ მას კატასტროფიულად მიაჩნია გერმანიისათვის ლონდონის კონფერენციის მარცხი და პროტესტს აცხადებს ელზას-ლოტარინგიიდან გერმანელების გადასახლების შესახებ.

ერთმანეთზე უკეთესი არიან.

ბორდო. აგვისტოს 17-ს ელზას-ლოტარინგიიდან გერმანელების გადასახლების შესახებ გაზ. „ტანი" აცხადებს რომ რომელიმე ელზასელი, ან სხვა ვინმეს ჩაიდენს ის, რასაც გერმანელები ჩადიან ელზას ლოტარინგიაში, მაშინ გერმანია არ დაკმაყოფილდებოდა უბრალო წინადადებით, მათი გერმანიიდან გადასახლების შესახებ. შემდეგ გაზეთი მიუთითებს იმაზე თუ როგორი ექცევა ბავარიის მთავრობა გერმანელ რესპუბლიკანელებს.

საკონტრიბუციო კომისიის სხდომა.

ბორდო. აგვისტოს 17-ს დღეს გაიმართება საკონტრიბუციო კომისიის სხდომა, რომელზედაც გაირჩევა მორიგი საკითხები და მოსმენილ იქნება გერმანიის წარმომადგენლების განცხადება.

მარკის კურსის დაცემა.

ბორდო. აგვისტოს 17-ს გაზ. „ფრანკფურტის" აზრით გერმანიის მარკის კურსის კატასტროფიულად დაცემის შედეგები იმდენად სერიოზულია, რომ მათთვის დღეს დღეობის ანგარიშის გაწევა ყოვლად შეუძლებელია გაზ. „ნიუ-იორკ-ტრიბუნის" აზრით, ეს კურსის დაცემა ერთგვარათვე სახიფათოა, როგორც თვით გერმანიისათვის, ისე საფრანგეთისათვისაც, რადგანაც საფრანგეთი ვერ შეძლებს, თუ გინდ—სამხედრო ძალითაც კი, აიძულოს გერმანია და გადაახდევინოს მას იგი, რისი გადახდაც მას არას გზით არ შეუძლია.

უცხოეთი

პუანკარეს პოზიციის მოწონება.

ბორდო, 17 აგვისტო. საფრანგეთის კაბინეტის სხდომაზე პუანკარეს პოზიცია ლონდონის კონფერენციაზე სავსებით მოწონებულ იქნა.

საფრანგეთი და ესტონეთი.

ბორდო, 17 აგ. ესტონეთის მინისტრმა პუსტამ განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა საფრანგეთ-ესტონეთის ხელშეკრულება, რომელიც 20 აგვისტოს შევიდა ძალაში ორივე ქვეყანაში.

ფაშისტები მხარს უჭერენ რესპუბლიკას.

ბორდო, 17 აგ. ფაშისტების მთავარი შტაბი მოთავსებულია ნეაპოლში. აქვე იმყოფება დეპუტატი მუსოლინიც, რომელმაც განაცხადა თუ რომელ პოზიციაზე უნდა იდგნენ ფაშისტები. მონარქიისადმი მუსოლინი თუმცა ფაშისტია, მაგრამ თავი რესპუბლიკანელად მოაქვს და ამბობს, რომ ის მხარს დაუჭერს რესპუბლიკას იტალიაში. ამას წინად ერთ-ერთმა ფაშისტურმა ორგანომ პრესაში განაცხადა: „მონარქიის ციკლი იტალიაში დამთავრდა". მეორეს მხრივ რაჩიოლი და გარიბალდი—შვილი ილაშქრებენ რესპუბლიკანელ მუსოლინის წინააღმდეგ და მოუწოდებენ ყველა იტალიელებს მხარი დაუჭირონ მეფეს.

მემარცხენეები განაგრძობენ ბრძოლას.

ბორდო, 17 აგ. მემარცხენე პარტიები განაგრძობენ მზადებას ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

სენატში.

რომი, 17 აგ. სენატმა მოისმინა მინისტრების რიჩიო და ფულჩის განმარტება, რომელთაც გაამართლეს თავისი ყოფა-ქცევა უკანასკნელ ხანებში მომხდარი გაფიცვების დროს. მათ განაცხადეს, რომ წინასწარ იყო გაცემული განკარგულება გაფიცვებში მონაწილე რკინისგზელებისა და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა დასჯის შესახებ. სენატმა მიიღო ცნობად შინაგან საქმეთა მინისტრის ტალერის და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის განცხადება, რომელთაც გაიცნეს [illegible] პოლიტიკის პროგრამა. შემდეგ სენატმა ერთხმად მიიღო მატონის წარმოდგენილი მორიგ საკითხებზე გადასვლის ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია მთავრობის მოქმედების მოწონება.

გადასახადის გადიდება.

რომი, 17 აგ. ოფიციალური პრესსა აქვეყნებს დეკრეტს წარმოების და შაქრის შემოტანაზე გადასახადის 300 ლირით გადიდების შესახებ.

სტამბოლი.

ბორდო, 17 აგ. ლონდონიდან იტყობინებიან, რომ სტამბოლში მოკავშირეებმა ბერძნების წარმომადგენლებთან დასდეს შეთანხმება ჯარების სადემარკაციო ხაზიდან 10 კილომეტრით უკან დახევის შესახებ. ბერძნების ჯარების უკან დახევა დაიწყო.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის გამო.

რომი, 17 აგ. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა კონსტანტინოპოლში გადასწყვიტეს ახლო აღმოსავლეთის საქმეთა წინასწარ კონფერენციის მოწვევის ადგილად აირჩიონ ვენეცია.

ბავარიის შეგრაზმულთა შორის

ბორდო 17 აგვ. „ფიგარო" აღნიშნავს, რომ მე-15 პოლკის დღესასწაულს ნეიბურგში ჰქონდა მონარქისტული ხასიათი, რადგანაც პრინც რუპრეხტს მეფურ პატივისცემით ეპყრობოდნენ მან მიიღო პარადი ნაციონალისტების აღფრთოვანებული ყვირილით. ყველა ორატორი ფიცს სდებდა ვიტენსბარებისა და ძველი იმპერიის დროშის ერთგულებაზე.

მარკის კურსის ხელახლავ დაცემა

კროიდონი. 17 აგვ. 17 აგვისტოს დილით კვლავ დაეცა გერმანიის მარკის კურსი, რამაც პარიზის ბირჟაზედაც მოახდინა გავლენა. შუადღისათვის კურსი დაეცა 4 800, მაგრამ ბირჟის დაკეტვის დროს კურსი იყო 4.445.

რკინის გზელთა გაფიცვა

ბორდო. 17 აგვ. იტყობინებიან, რომ რადგანაც პრეზიდენტ გარდინგის შუამავლობამ რკინის გზელთა გაფიცვაში ნაყოფი ვერ მოიტანა იგი მოიქცევა ისევე, როგორც მოიქცა მემადნეების გაფიცვის დროს.

მემაღაროვეთა გაფიცვა

ბორდო 17 აგვ. კლივლენში მოხდა შეთანხმება მაღაროს მუშების ლიდერებსა და მეპატრონეთა შორის ეს გარემოება გაფიცვის დასრულებას ნიშნავს.

გემი ტანკები.

ნაუენი 17 აგვისტო. „სტანდარტ ოილის" კომპანია აშენებს 10 გემ ტანკებს, რომელიც დაიტევენ თვითეული 15,000 ტონს.

მუშაობის დროებით განახლება.

ნაუენი 17 აგვისტო. მაღაროს მუშათა გაფიცვა დასრულდა იგი გრძელდებოდა 1 აპრილიდან 15 აგვისტომდე მუშებმა დროებით ძველი ხელფასით განახლეს მუშაობა.

განხეთქილების შესაძლებლობა.

ბორდო 17 აგვისტო. მთავრობის გაზეთი „ივნინგ სტანდარტი" ამბობს, რომ ანტანტაში განხეთქილება არ უნდა მოხდეს და ორივე სახელმწიფო მოღვაწის ვალია (ალბად ლოიდ ჯორჯისა და პუანკარესი), რომ ასეთი, რამე არ მოხდეს.

ესეც თითქოს ეკონომიაა.

კროიდონი 17 აგვისტო. ის თანხა, რომელიც დააწესა თემთა პალატამ მეფისა და მისი სასახლის შესანახად შეამცირეს ნახევარი მილიონი გირ. სტ.

ირლანდიაში.

ბორდო 17 აგვისტო. ლიმერიკიდან იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს კილერნი.

გრიფიუელსის გარდაცვალება.

პარიზი. პარიზის გაზეთები გამოეხმაურენ საფრანგეთის ცნობილი სინდიკალისტის, შრომის გენერალური ფედერაციის ყოფილი მდივნის გრიფიუელსის გარდაცვალებას, რომელიც 48 წლის იყო. გაზეთი „ეკლერი" სწერს: „გრიფიუელსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სინდიკალიზმის ისტორიაში და იყო შრომის გენერალური ფედერაციის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი. მან ამ მხრივ ბევრი რამ გააკეთა, რომ საფრანგეთის სინდიკალიზმა მიიღო რევოლიუციონური დოქტრინა და „პირდაპირი" მოქმედების ტაქტიკა იგი იყო 1906 წელში ამიენის კონგრესზე იმ წინადადების ავტორი, რომელმაც მიიღო „სინდიკალიზმის ქარტიის" სახელწოდება".

გაზ. „ლ'ოევრ ნუველი" სწერს იმ კაცის სიკვდილი, რომელიც 6 წლის განმავლობაში იყო სული შრომის გენერალური ფედერაციის და იმ დროს, როდესაც ის უკანასკნელი სდგას სერიოზული მომენტის წინაში, პირდაპირ ტრაგიკულია. ჟორჟ სორელი იყო თეორიტიკოსი რევოლიუციონური სოციალიზმისა. ხოლო გრიფიუელსი კი იყო მისი აქტიური მოღვაწე. შეიძლება გააკრიტიკო შრომის გენერალური ფედერაციის მეთოდები დღეს დღეობით, მაგრამ არ შეიძლება არ გავაკვირვოთ იმ ადამიანის ჭკუამ და გონებამ, ვინც უმთავრესად ახორციელებდა ამ მეთოდებს.

გერმანელი მონარქისტები ავსტრიაში.

ვენა. სოც.-დემოკრატების ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგი". მოითხოვს გერმანელ იმ ოფიცრების განდევნას, რომელნიც ავსტრიაში მონარქისტულ აქტიურ პროპაგანდას ეწევიან, [illegible] აცხადებს, რომ მართლაც [illegible] მოიქცა ავსტრიაში, რომელიც გაურბოდნენ გერმანიის მთავრობის დევნას მეორეს მხრით გაქცეულებმა მჭიდრო კავშირი დაიჭირეს ვენგრიის ადმირალ ხორტის მთავრობასთან.

პურის მცხობელთა გაფიცვა ათინაში.

ათინა. ათინასა და პირეის პურის მცხოვრებთა კორპორაციამ გაფიცვა გამოაცხადა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს შეთანხმების მოსახდენათ ჩამორთმეულ ფურნეებში მუშაობენ ჯარის კაცები.

რუსეთი

ხორბალი საზღვარ გარეთიდან

იალტა 30 ივლისი. ჩამოიტანეს სევასტოპოლიდან 6200 ფუთი ფქვილი. 309 ფუთი შაქარი და სხვა სურსათი, რომელიც მიღებულია საგარეო ვაჭრობის კომისარიატისაგან.

საკუთარი ძალებით

ფეოდოსია 23 აგვ. ნავთსადგურის სამმართველოს ძალებით და საშუალებით რემონტი გაუკეთეს და ამუშავეს შავზღვაზე საუკეთესო გემი „[illegible]".

შრომის ნაყოფი

ფეოდოსია 28 აგვ. ნავთსადგურის 12 მუშამ გააკეთეს ნავთსადგურის ელექტრონის სადგური და ხეტყის სახერხი ქარხანა.

სევასტოპოლის ნავთსადგურში

სიმფეროპოლი 2 აგვ. ივნისის განმავლობაში სევასტოპოლში შემოვიდა 11 უცხოეთის გემი, რომელთაც მოიტანეს 146 372 სხვა და სხვა საქონელი მაშინ, როდესაც მაისში შემოტანილ იქნა 124935 ფუთი ხორბეული საქონელი მოვიდა საბჭოთა დაწესებულებების და საგარეო ვაჭრობის კომისარიატის სახელზე. შემოტანილ იქნა ფქვილი 73100 ფუთი. ხორბალი 29400 ფ. შაქარი—15300 ფუთი საპონი, 2872 ფუთი, ყავა 1727 ფუთი.

ამერიკის საექიმო დახმარება.

მოსკოვი, 18 აგვისტო, „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს შეერთებულ შტატებში მყოფ ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა მიხაილოვსკიმ განაცხადა, რომ ის ჩამოვიდა ამერიკიდან ექიმ კავენოკისთან ერთად, როგორც ოფიციალური წარმომადგენლები რუსეთის საექიმო დახმარების ამერიკულ კომიტეტისა. კომიტეტს განზრახული აქვს მოაწყოს თავის ხარჯზე დიდი საავადმყოფო 500 საწოლით. საავადმყოფო ყველა უმთავრესი სპეციალობით, იქნება მოწყობილი მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. სტაციონარული და ამბულატორული მკურნალობა უფასო იქნება.

ექიმმა მიხაილოვსკიმ გამოსთქვა სრული კმაყოფილება საბჭოთა დაწესებულებებისადმი, რომელთაც გაუწიეს ყოველგვარი დახმარება კომიტეტს.

დამოუკიდებელ პარტიის პოლიტიკის გარშემო

(დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი.)

3

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ამგვარი ტრანსფორმაცია სულ ადვილი ასახსნელი გახდება ჩვენთვის, თუ გავითვალისწინებთ შენეხსა და შინაარს ცენტრისტული რადიკალიზმისას. არსებითად აქ არ მომხდარა ტრანსფორმაცია, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ეს იყო მხოლოდ გარეგანი ფორმის, ქერქის გამოცვლა, მისი შინაგან ყოფასა და შეგნებასთან შეფარდება. საქმე იმაშია რომ ეს პარტია არასოდეს არ იყო რევოლიუციონური საქმის, მას მხოლოდ, რევოლიუციონური ფრაზეოლოგია ახასიათებდა, რომელიც აგებულ იყო ცნობილ ფორმულებზე. ფაქტიურად კი მისი პრაქტიკული ნაბიჯები და პოლიტიკური შეხედულებანი არაფრით არ განსხვავდებოდა რეფორმისტების პროგრამისაგან. ამიტომ იყო, რომ რევიზიონიზმმა უმთავრესი შეტევა თეორიულ საფუძვლებიდან დაიწყო და მოითხოვდა მისს პრაქტიკულ პოლიტიკასთან შეფარდებას. ცენტრის რევოლიუციონური თეორია ძირიანად განსხვავდებოდა მათი პრაქტიკულ ოპორტუნიზმისაგან. აქ თეორიასა და პრაქტიკას შორის ძირითადი წინააღმდეგობა იყო. რევიზიონიზმმა მოინდომა ამ წინააღმდეგობის დარღვევა და მთლიანი, თეორიულად პრაქტიკულად შეზავებული სისტემის შექმნა.

ამ გვარად გერმანიის სოციალ-დემოკრატია და მასში გაბატონებული ცენტრი თავისებური ელფერის მატარებელი პარტია იყო, რომლითაც შეიძლება დახასიათდეს ყველა ასეთი ჯურის პარტიები; მას გარეგნულად წამოსხმული ჰქონდა რევოლიუციონური მანტია, შიგნით კი ოპორტუნისტულ გულს ატარებდა, რეფორმისტულად საქმიანობდა. ამიტომ პარტიისათვის ძნელი არ იყო შესაფერის მომენტში გარეშე საფარის მოშორება და მის ქვეშ დაფარულ ნამდვილი სახის გამოჩენა. ეს არ არის პარტიის გარდაქმნა ან მისი რადიკალური ტრანსფორმაცია, ეს მხოლოდ უბრალო სახის ფერისცვალებაა, მისი ხელოვნური რევოლიუციონური ჩადრის ჩამოხსნა და საკუთარი ბუნებრივი სახით და შინაარსით გამოსვლა.

ეს პროცესი განიცადა სოციალ დემოკრატიამ და ეს სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო.

თეორიული შეურიგებლობა და პრაქტიკული ოპორტუნიზმი,—აი დამახასიათებელი მომენტები არა მარტო გერმანიის სოციალ დემოკრატიისა, არამედ მთელი მეორე ინტერნაციონალის.

ეს მომენტები ახასიათებდა მეორე ინტერნაციონალის თითქმის ყველა პარტიებს და ეს არ იყო უბრალო შემთხვევა, არამედ აღმოცენებული იყო იმ მეცნიერულს საფუძვლიდან, რომელსაც ეყრდნობიან სოც.-დემოკრატიული პარტიები.

მარქსიზმი იყო ის საშო, საიდანაც წარმოიშვა მეორე ინტერნაციონალის რეფორმისტული, ცენტრისტული და რევოლიუციონური მიმდინარეობანი. მარქსიზმმა მისცა დასაწყისი და საფუძვლები სამივე მიმართულებას. როგორც ყოველს დიდს სისტემაში, ისე მარქსიზმშიც თავმოყრილი შეიქნა საწინააღმდეგო ელემენტები და დებულებანი, რომელთა განმარტება და გაგება შესაძლებელი იყო სხვა და სხვა ნაირად. აქედან ყოველ მიმდინარეობას საშუალება ეძლეოდა თავისებური ინტერპრეტაცია გაეკეთებინათ ამ მოძღვრებისათვის და დაედვათ საფუძვლად თავიანთი პროგრამისათვის.

მარქსიზმის ასეთს საწინააღმდეგო გაგებაზედ აღმოცენდა სამი ფრთა სოციალ დემოკრატიული მიმართულებისა, რომელნიც ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ მარქსიზმის საკუთრებაში და მისი პრინციპების წმინდათ დაცვაში.

მარქსმა ევოლიუციის პრინციპი გადმოიტანა ბუნების მეტყველებიდან ისტორიულ მეცნიერებაში და ამით საფუძველი ჩაუყარა იმ მოძღვრებას, რომელიც გვეუბნება, რომ ისტორიული ცხოვრების წარმართვა ემორჩილება თავისი განვითარების შეუცვლელ კანონებს. მარქსიზმი აღმოცენდა და ჩამოყალიბდა, როგორც ანტიტეზა უკიდურესი იდეალიზმისა და ისტორიულ ცხოვრების ვითარებას ამ მოძღვრებამ საფუძვლად დაუდვა იმანენტალური კანონი, რომელიც მოქმედებს და მჟღავნდება უმაღლესი აუცილებლობის მიხედვით, დამოუკიდებლად ადამიანის ნებისყოფისა და სურვილებისა.

ასეთი მექანიკური გაგება ისტორიული ცხოვრების ევოლიუციისა მარქსმა გადმოიტანა სოციალური დინამიკის სფეროში და გარკვეული ანალიზი გაუკეთა კაპიტალისტური ევოლიუციის სხემას. ამ პროგნოზით კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება და მისი ახალი სოციალური ურთიერთობის შეცვლა ხდება თავის თავად, იმანენტალურ კანონის მიხედვით, კაპიტალისტურ მეურნეობაში ჩამარხულ წინ აღმდეგობათა ძალდატანებით. ძველი სოციალური ფორმაციის უსახო ფორმაცია არ ხდება ადამიანის ნებისყოფის და მისი სურვილების მიხედვით, აქ არა აქვს ადგილი იდეოლოგიურს ფაქტორებსა და მიზეზებს, სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაცია ბრმა ძალთა თამაშის შედეგი, წინასწარ განსაზღვრულ ისტორიულ საქმის რეზულტატია. კაპიტალიზმი თავისი შინაგანი, იმანენტალური კანონის ძალით, თავისი განვითარებით მექანიკურად არა მარტო „უარყოფს თავის თავს" და თხრის თავის დასამარხ სასაფლაოს, არამედ აგრეთვე ჰქმნის უმაღლესად დადებითს მოვლენას,—თავის საწინააღმდეგო სოციალურს ფორმულას, კაპიტალიზმის ანტიპოდს—სოციალიზმს. ამაში გამოიხატება კაპიტალისტური ევოლიუციის შემოქმედებითი აღმშენებლობის მომენტები.

ამ საქმის მიხედვით ნათელი ხდება, რომ სოციალიზმი არ არის მუშათა კლასის აქტიური მოქმედების ნაყოფი, არ არის პოსტულატი მის მიერ გაგებულ ინტერესებისა და მორალური შეგნების, ის არ არის მუშათა კლასის იდეალური და აქტივიზმის რეზულტატი. სოციალიზმი შედეგია კაპიტალიზმის ევოლიუციისა, მის წიაღში დაგროვილ ძალთა წინააღმდეგობათა და ანტაგონიზმის მექანიკური ფინალი.

ეს არის ერთი მთავარი მომენტი მარქსიზმისა, რომლის მიხედვითაც სოციალური ცხოვრების განვითარება წინასწარ შემუშავებული მექანიკური სქემით ხდება და რომელსაც უკიდურესი ობიექტივიზმის ბეჭედი აზის. აქ ყოველივე წინასწარ განსაზღვრულია და აუცილებელია. ასეთია მარქსისტული ობიექტივიზმი ფატალისტურს ტელეოლოგიზმამდე დაყვანილი.

მაგრამ არის მეორე მომენტიც, სადაც მარქსმა სუბიექტიური მხარეც შეიტანა და ისტორიული ცხოვრების ვითარება ცოცხალი ინდივიდის აქტივიზმს და ნებისყოფას დაუმორჩილა. ეს მომენტი აუცილებლად საწინააღმდეგო პოზაში იმყოფება იმ გაგებასთან, რომელიც გვეუბნება, რომ ისტორიული ცხოვრება წინასწარ განსაზღვრული იმანენტალური კანონის მიხედვით მოქმედებსო, მაგრამ ეს წინააღმდეგობა, უკიდურესი ობიექტივიზმისა და სუბიექტივიზმის შეტანა დამახასიათებელია მთელი მარქსისტული მოძღვრებისა და სწორედ აქედან წარმოსდგება ის წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი აქვს მარქსისტულ პარტიათა შორის.

მაგრამ რაში გამოიხატება მარქსიზმის სუბიექტივიზმი?

მარქსის გაგებით კაპიტალიზმის „თვითმკვლელობისა" და მისი სოციალიზმად გარდაქმნის მთავარი დინამიური ფაქტორებად უნდა ჩაითვალოს ორი მოვლენა: 1) კაპიტალის კონცენტრაცია, რომლის ძალით თანდათან ისპობა წვრილი და საშუალო წარმოება და ადგილს უთმობენ მსხვილს წარმოებას, 2) კაპიტალის კონცენტრაციის პარალელურად ვითარდება პროლეტარიზაცია, საზოგადოების დიდი უმეტესი ნაწილის პროლეტარად გარდაქმნა და საყოველთაო პაუპერიზმი. ამ ტენდენციებს შეაქვს ეკონომიურ ცხოვრების ვითარებაში კრიზისები, დეზორგანიზაცია. ძლევენ კაპიტალიზმის თვით ლიკვიდაციას კატასტროფულ ხასიათს, მაგრამ არის მეორე ტენდენცია, რომელსაც შეაქვს ორგანიზაციისა და წარმოების გარკვეული გეგმით მოწესრიგების ელემენტები. ეს არის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული პროლეტარიატი, კაპიტალიზმის მესაფლავე კლასი, აღჭურვილი უმაღლესი შეგნებითა და მიზნებით. იგიც აქტიურად ერევა საერთო ცხოვრების ვითარებაში და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებით ძალდატანებით სპობს ძველს საწარმოო ურთიერთობას და მიზანშეწონილის გეგმით თანდათანობით ჰქმნის სამართლიანს, რაციონალურს სამეურნეო დამოკიდებულებას—სოციალიზმს.

როგორც ვხედავთ, მარქსმა თავის უკიდურესს ობიექტიურსა და მატერიალისტურს მოძღვრებაში სუბიექტიური მომენტებიც შეიტანა და კაპიტალიზმის მოსპობისა და სოციალიზმის დამყარების აუცილებელ პირობად დასახა პროლეტარიატის აქტიური პოლიტიკა, მის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება. მიზანშეწონილი გეგმით ძალ-დატანებით გარდაქმნა ძველი სოციალური წყობილებისა ახალს საფუძვლებზედ.

„კომუნისტური მანიფესტი", რომელიც ორტოდოქსალური კოდექსი მარქსისტული მოძღვრებისა, სწორედ ასეთს მომენტებს ეყრდნობა და გარკვეულს ზომებსა და გეგმებს აყენებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდასასვლელად.

ამ წერილის მიზანი არ არის ფართოდ გაარკვიოს ეს საკითხი, ამიტომ ჩვენ რაც შეიძლება მოკლედ ვეხებით მას, რომ გასაგები დარჩეს ეს საფუძვლები, რომელიც სარჩულად უდევს დამოუკიდებელი ი. ე. ცენტრისტული მიმართულებას.

„კომუნისტურს მანიფესტში" ვკითხულობთ: „პროლეტარიატი თავის პოლიტიკურ ბატონობას იმისათვის გამოიყენებს, რომ ბურჟუაზიას თანდათან წაართვას მთელი კაპიტალი, თავი მოუყაროს ყველა საწარმოო იარაღებს სახელმწიფოს, ე. ი. გაბატონებულ კლასად შეკავშირებულ პროლეტარიატის ხელთ და

ახალი ამბები

— **ქალაქის მიწების იჯარა.** ტფ. ქალაქის აღმასკომში აღიძრა კითხვა ქალაქის მიწებზე ერთიანი გადასახადის შემოღების შესახებ ნაცვლად სასურსათო გადასახადისა, იჯარისა და სხვ. გადასახადებისა.

— **მედიცინურ და სანიტარულ მუშაკთა პროფკავშირის ყრილობა.** 20 აგვისტოს გაიხსნება სრულიად საქართველოს მედიცინურ და სანიტარულ მუშა პროფკავშირის ყრილობა. ამ დღეებში შედგა საქალაქო ყრილობა, რომელმაც აირჩია თავისი წარმომადგენლები.

— **კოლექტიური ხელშეკრულებანი.** პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობის მიერ დადგენილია კოლექტიური ხელშეკრულებანი იმ დაწესებულებებთან, რომელნიც გადასულნი არიან სამეურნეო ნიადაგზე.

— **მიწათ-მოქმედების კომისარიატის** სახალხო მამულების ქვე-განყოფილება ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისში ქვე-განყოფილების სადგომში (გოლოვი-

— **გაზ. „მახტრიონი".** გამოვიდა გაზეთ „მახტრიონის" მორიგი № 7. გაზეთში მოთავსებულია ლექსები: სანდრო შანშიაშვილის, გრიგოლ ცეცხლაძის და ვიქტორ გაბესკირიის. წერილები: შალვა აფხაიძის, მეთაური ქართულ თეატრზე, ჟურნალ „ილიონის" ბიბლიოგრაფია, რუსთაველიანა, მოგონება ვაჟა ფშაველაზე, ქრონიკა, თეატრი და სხვ. ფასი 10.000 მ. ნ.

— **ტფ. ქალაქის აღმასკომის სამმართველო განყოფილება.** სამმართველო განყოფილების შეერთების შემდეგ მილიციის მმართველობასთან, ყველა ქვე-განყოფილება გადავიდა ვენიამინის ქუჩაზედ № 7, რომელშიაც მოთავსებულია ქალაქის მილიციის სამმართველო.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული აქვს საბუღალტრო და სამეურნეო ნაწილს, რომლისთვისაც მოწვეულია სპეციალისტები. ამ დღეებში მოსამსახურეებს დაურიგდებათ ჯამაგირი, რომელიც მიღებულია თანახმად კომისართა საბჭოს დადგენილებისა.

ნის პროსპექტი, ყოფილი კადეტთა კორპუსი) 3 რასკვეს 25 მარიამობისთვის 12 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შემდეგი სახალხო მამულების იჯარით გაცემაზე:

— 1. ზედომბანი (მიხეილ ნაკაშიძის ყოფილი მამული სოფ. ზედომბანში), ოზურგეთის მაზრაში: 4 დეს. დაბლარი ვენახი, ორი ხეხილის ბაღი, 10—ჩაის პლანტაცია, ოცი ნახნავი და სხვა სულ 67 დესეტინა.

— 2 ბათინიკო-კურისი (ბარონ ნიკოლაის ყოფილი მამული კოჯორის ახლო), თბილისის მაზრაში: 30 დეს. ხეხილის ბაღი, 32 დეს. სათიბი, 5 დეს. სახნავი და სხვა სულ 170 დესეტინა.

3. პირობების გაგება შეიძლება სახალხო მამულების ქვე-განყოფილების კანცელარიაში საქმის დღეს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

სამხატვრო ქრონიკა

— **ტერენტი გრანელის საღამო.** კვირას 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება პოეტ ტერენტი გრანელის საღამო. სიტყვა ტიციან ტაბიძის „უბედობის პოეზია", გობრონ აგარელი: „პოეტი პილიგრიმი". ლექსები: ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე. კონრონ აგარელი და სხვები.

მანდარინის მოსავალსაც ძლიერ კარგს მოელიან. ჰფიქრობენ შეადგინონ მილიონი ცალი.

ბამბუკებიც მოჭრილია. დამზადებულია 60 000 ღერი სიგრძით 6 დან 12 არშინამდე.

მამულის ლაბორატორიას ხელმძღვანელობს პროფ. გულენკო. ამზადებს ევკალიპტისა და კოფორის ფოთლებიდან ეთეროვან ზეთეულებს. ევკალიპტის ფოთლებიდან ამზადებენ ზეთს „ანტი-პარაზიტს", რომელიც სპობს ტილს და სხვა პარაზიტებს. ამიერ-კავკ. რკ. გზების მართველობამ შეიძინა პროფ. გულენკოსაგან მონოპოლიური უფლება მის მიერ მოგონილი საშუალებით ხის კონსერვაციის შესწავლისათვის.

ინჟ. მაშრევსკი და პროფ. გულენკო წარმატებით განაგრძობენ ცდებს ხის დახერხვისა ელექტრონით.

სწარმოებს დიდი კულტურული მუშაობა, მაგრამ უკულტურობა დიდად უშლის ხელს ნაყოფიერებას, ვინაიდან შეუძლებელი ხდება თავის დროზედ მუშების დაქირავება წინასწარი სამუშაოს შესასრულებლად.

ამავე უკულტურობის გამო ვერც კერძო მეპატრონეებმა გაკრიფეს თავის დროზე ჩაის ბუჩქები, ვერც დაბარეს და ამიტომ მიიღეს შედარებით ნაკლები მოსავალი, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე ცოტა გვალვიანმა გაზაფხულმა.

ბავშვთა ქალაქი—კოჯორი

აფხაზთა ბავშვთა ახალშენში.

კოჯორში ასვლისთანავე გავსწიე აფხაზთა ბავშვთა ახალშენისაკენ, სადაც მეგზურობდა ჩვენი შევარდენი ძმა პეპიკო, რომელიც წურთნელად იყო გაგზავნილი აფხაზთა სახლში ჯერ კიდევ ამ ხალხის ტფილისში ყოფნის დროს. დავალაგე თუ არა ჩემი ბარგი ბარხანა პეპიკოს ოთახში, მაშინათვე შევუდექი აფხაზთა სახლის გაცნობას. კოჯორში მათ უჭირავთ ორი შენობა, ორივე კოლიერებიანი, ყველა ოთახები, ვ ნახულეთ ორი ავადმყოფი ბავშვი, შემდეგ შევედით გამგესთან, რომელიც შეუძლოთ რომელიც მიფენილია ხეებით. ეზოშივეა გამართული სასადილო, იქვეა ტანსავარჯიშო იარაღები: ღერძები, რგოლები, ორძელი. აფხაზთა სახლის ბავშვები ხომ ყველა შევარდენებია. ისინი ტფილისში ყოფნის დროს მეცადინეობენ მესამე შევარდენში, საზაფხულოდ კი მათთვის პეპიკოს მოუწყვია ხეებზე ღერძი და რგოლები, ორძელი კი ძველი სახისა გადმოუტანია შტაბის ეზოდან. შევედით შენობაში, ოთახები, საწოლები, სასადილო აივანზე—ყველაფერს ეტყობა სიფაქიზე, საქმის სიყვარული. ბავშვები არ არიან, რაღაც წარმოდგენაზე წასულან. აფხაზთა სახლში სულ 54 ბავშვია, აქედან 27 აფხაზი, მათ შორის კი 4 ქალი, დანარჩენი ქართველებია:

აფხაზთა ბავშვების სახლს ეხმარება ამერიკული კომიტეტი და ეს თავის

ჯორის შუაგულში ეგრეთ წოდებულ ზემო შარაზე. ერთ შენობაში, რომელიც შარას ზემოთ არის, უმთავრესად ცხოვრობენ გამგე და სხვა მოსამსახურენი, იქვე არის ოთახი ავადმყოფებისათვის, წამალხანა და სხვ. პეპიკომ დამათვაიყო და იწვა. ქ-ნი ნინო შარვაშიძისა—აფხაზთა სახლის გამგე სიხარულით ღებულობს აფხაზების სახლში მიმავალ სტუმრებს. ასე სჩვევიათ აფხაზებს.

მივდივართ მეორე შენობაში, რომელიც მოთავსებულია იქვე მახლობლად, მხოლოდ შარას ქვემოდ. ეზო პატარა, მაგრამ გაშლილი, გადაჰყურებს ხევს თავად ეტყობა საერთოთ მთელ ბავშვთა სახლს.

პეპიკოს წინადადებით გამოვედით იქვე მახლობლად ერთ სასადილოში და შევექცეოდით ბაასს, იქვე იყო ჩვენთან აფხაზთა სახლის ერთი თანამშრომელი სტუდენტი აფხაზი გერასიმე, რომელიც თავის მხრივ გვიხსნიდა აფხაზთა ზნე-ჩვეულებას. ამ დროს შორიდან მოგვესმა რაღაც უცნაური სიმღერა. ეს წარმოდგენიდან მოდიოდენ აფხაზთა ბავშვები. სიმღერა თანდათან უახლოვდება. სიმღერა ცოცხალი, მარდი ატკბობდა ჩვენს სმენას. ეს იყო საომარი სიმღერა, „მაგას ვეძახით აფხაზურად „არრაშუას"—გვეუბნებოდა გერასიმე. სიმღერაში ჩართული ყიჟინა აძლევდა მას ცოცხლობას, მართლაც ვრწმუნდებოდი, რომ ეს საომრად მიდიან აფხაზები. წამოძახილი, რომელიც სჭრიდა ჩვენს ყურს და მასთანვე მთელ კოჯორის მყუდროებას არღვევდა, ისეთი მკვეთრი, ძლიერი, ეს მატა არის, [illegible] პეპიკო. ბავშვებში [illegible] ჟურვიეს ახალშენში.

პეპიკო მპირდებოდა დილისათვის ბავშვების ცეკვა-თამაშის ჩვენებას.

დილით გავეშურეთ იმ შენობაში, სადაც ბავშვები იყვნენ მოთავსებული. ჩვენთან ერთად ჟავით გამგე ქ—ნი ნინოც იყო. ეზოშივე შემოგვხვდენ ბავშვები. „გუშაგოთ ერს", „გუშაგოთ ერს" მესალმებიან ბავშვები. სუყველას შევარდენული ნიშნები აქვთ გულზე. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი მოკლე შარვლებში, ფეხშიშველა, ბავშვები გახარებული არიან ჩვენი იქ მისვლით. ბავშვები სასაუზმოთ ემზადებიან. ჩვენც მიგვიწვიეს საუზმეზე. აივანი გადასცქერის პატარა ხევს. გაისმა ბავშვთა სიმღერები, ისმის ტაში. საუზმის შემდეგ ჩვენც გავდივართ ერთ დიდ ოთახში, სადაც მოკალათებულან ბავშვები. აფხაზთა ბავშვთა გუნდს ხელმძღვანელობს შამილი, „დიდი შამილი" იმისათვის, რომ გუნდში არის აგრეთვე პატარა შამილი, რომელიც აგრეთვე კარგი მომღერალია. დიდ შამილს ეხმარება გერასიმეც. ერთი სიმღერა მეორეს სცვლის, ერთი მეორეზე უკეთესია. ცეკვას სიმღერით იწყებენ. „აინყარა აშუა—ცეკვის სიმღერა, მხიარულია, ჩვეულებრივ კავკასიური ჰანგების მაგვარი, ენათესავება ქართველთა ტემპს. მატა და შამილი მოსიმღერეებში ირჩევიან. ცეკვავენ შუქრი და ფარზინი. საცეკვაო სიმღერებს მოჰყვება სხვა სიმღერები; მაგალითად ცხენოსანთა—აჩზარი, მონადირეთა—აირგი აშუა, პატარძლის—ათაცა ააგარა აშუა, სიმღერები. აღსანიშნავია აუცილებლად ეგრედწოდებული საცეკვაო სიმღერა „არშიშრა აშუა"—მთვარეულის ცეკვა თამაში. ცეკვა სწარმოებს ძილში. ცეკვავენ ორნი თვალდახუჭულნი ერთმანეთზე ხელჩაჭიდულნი; უცბად გამოეღვიძებათ და იწყება სწრაფი ჩვეულებრივი ცეკვა. ეს მთვარეულის ცეკვა ისე ლამაზად და გრძნობიერად იყო გადმოცემული შუქრის და ფარზინის მიერ, რომ შეუძლებელი იყო აღტაცებაში არ მოსულიყავი.

სიმღერებს და ცეკვას მოჰყვა სხვა ბავშვების ცეკვა თამაში, ქართული, ფრანგული, აფხაზური ლექსთა თქმა. თავის ნაწარმოებს ლექსს კითხულობს დი-

პროვინციის ცხოვრება

ჩაქვი. ჩაქვის სახალხო მამულში ჩაის მოსავალი ძლიერ კარგია. ხარისხითაც გაცილებით მაღლა სდგას შარშანდელთან შედარებით. ჯერ შეგროვილია მოსავლის მხოლოდ ორი მესამედი, რაც შეადგენს 700 000 გირ. ნედლ ფოთოლს, რომლიდანაც მივიღებთ 175.000 გირ. გამხმარ ჩაის. გასულ წელს კი მივიღეთ სულ 140.000 გირ. ჩაი. წრეულს მზადდება სამი ხარისხის ჩაი: უმაღლესი, 1 და 2.

ჩაის მუმლით დასნეულებულია მცირე 6 წილი. მუმლი გასულ წელსაც იყო და მუმლიანი ბუჩქები გაკრიჭეს. წრეულს მათ მუმლი აღარა აქვთ. უცხოეთიდან შემოტანილ ჩაიზედ ისეთი მცირე ბაჟია, რომ ადვილად უწევს კონკურენციას ადგილობრივს.

რამდენათაც შესაძლებელია გაამრავლოს საწარმოო ძალთა რაოდენობა. პირველად, რა თქმა უნდა, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ დესპოტიური ჩარევით საკუთრების უფლებასა და ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობაში... და ისინი აუცილებლად არიან როგორც გარდაქმნის საშუალება მთელი საწარმოო წესისა...

„პოლიტიკური ძალაუფლება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის შეკავშირებული ძალა ერთი კლასისა მეორე კლასის დასაჩაგრავად. თუ პროლეტარიატი ბურჟუაზიასთან ბრძოლაში აუცილებლობით ერთდება კლასად და როგორც გაბატონებული კლასი ძალდატანებით სპობს ძველ საწარმოო ურთიერთობებს, აშკარაა, ამ საწარმოო ურთიერთობებთან ერთად ის სპობს კლასთა წინააღმდეგობების არსებობის პირობებს, საერთოდ კლასებს და მით თავის საკუთარ არსებობას, როგორც კლასისას". (იხ. „კომ. მანიფ." ქართული გამოცემა გვ. 45—7).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ასეთი გაგება კაპიტალიზმის გარდაქმნისა სოციალისტურ წარმოებათ, სადაც ადგილი აქვს უდიდესად სუბიექტურს ელემენტებს—აქტივიზმს, გეგმაშეწონილობას, შეგნებულად დასახულს საზოგადოებრივ იდეალს, მაშასადამე, მიზნებსა და სურვილებს, რომელნიც დამახასიათებელი ელემენტებია სუბიექტური სოციოლოგიისა, ბევრი არაფერი საერთო აქვს მატერიალისტურ სოციოლოგიასთან და იმ განმარტებებთან, რომელსაც იძლევა მარქსიზმი თავის კონცეპციაში კაპიტალიზმის სოციალიზმში მექანიკურად, სტიქიურად გადასვლის შესახებ.

რევოლუციონური სოციოლოგიური კონცეპცია არ უარყოფს ობიექტურს გარემოებასა და მის მნიშვნელობას ყოველი დიდი გარდაქმნის დროს. მაგრამ იგი არ გამოდის უმთავრესად ასეთი აქტების დროს საზოგადოებისათვის დამოკიდებულების მატერიალისტური სტრუქტურის საზომიდან და ისტორიული ცხოვრების ვითარებას არ საზღვრავს წინასწარ გამოკვეთილი სქემით. ასეთი დიდი სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში სუბიექტური სოციოლოგიის მხედველობაში აქვს უმთავრესად რევოლუციონური აქტივიზმი მებრძოლი კლასისა, მისი მიზნები და სურვილები და შესაძლებლობის დონე ამ შემოქმედებითი ენერგიის ზეგავლენისა გარეშემორტყმულ მატერიალურს გარემოზე. აქ ისტორიულად შესაძლებელსა და განსაზღვრულს სოციალურ კატეგორიის სურვილებს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მკითხველი დაგვეთანხმება აგრეთვე, რომ ასეთს კატეგორიებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი „კომ. მანიფესტიდან" მოყვანილ ციტატში.. *)

ამით მარქსიზმა თავისი მეცნიერული დებულებების საწინააღმდეგო ელემენტები შეიტანა თავის მოძღვრებაში და საფუძვლები მისცა სწორედ იმ დაპირისპირებას, რომელიც შემდეგში განვითარდა მარქსიზმის ნიადაგზედ.

ამ გვარად ჩვენი ზემოდ ნათქვამი რომ დავასკვნათ, მარქსისტულს სოციალიზმს ორი მთავარი საწინააღმდეგო მომენტი ახასიათებს.

1. ფატალისტური გაგება ისტორიულ ევოლუციისა, რომელიც წინასწარ განსაზღვრულია ყველა თავის სტადიებში, აქედან ოპტიმისტური შეფასება კაპიტალიზმის ევოლუციისა და აღმოჩენა დადებითი შემოქმედებითი ელემენტებისა მასში, რომლის საშუალებით იგი (კაპიტალიზმი) მექანიკურად გადადის სოციალიზმში.

2. აღიარება პროლეტარიატის რევოლუციონური აქტივიზმისა, კაპიტალიზმის დასამხობად პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების საჭიროება და შეგნებული მიზანშეწონილი და ძალდატანებითი გეგმებით შექმნა ახალი სოციალისტური წარმოების.

მარქსისტული სოციალისტური პარტიები ძლიერ ხშირად თავისებურს ინტერპრეტაციას უკეთებდნენ ამ წინააღმდეგობებს და თავისებურად გაგებულს საფუძვლად უდებდნენ თავიანთ პროგრამას. ზოგი მათგანი მთლიანად იღებდა ამ დებულებებს, ზოგიერთნი კი ნაწილობრივ, ეს დამოკიდებული იყო მათს გაგების უნარზე და რევოლუციონურს ტემპერამენტზედ.

რეფორმიზმმა და მემარჯვენეებმა მთელი თავიანთი ენერგიით ომი გამოუცხადეს მარქსიზმის რევოლუციონურს და სუბიექტიურს მხარეს, განდევნეს ელემენტები პარტიის პროგრამიდან და თავიანთი სამოქმედო გეგმები კაპიტალიზმის ევოლუციის მშვიდობიანს კანონს დაუმორჩილეს. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა რევიზიონიზმი, რომელმაც რამოდენიმე შესწორება შეიტანა მარქსიზმის „კაპიტალიზმის კატასტროფის" თეორიაში, მხოლოდ რევოლუციონური აქტის გაგება რეფორმისტული და ოპორტუნისტული დასტოვა. რეფორმისტული თეორია თანდათანობითი ევოლუციის გაგებას ეყრდნობა და სოციალიზმის განხორციელების საქმეში საზარალოდ მიაჩნია რევოლუციონური გამოსვლები. კაპიტალიზმის თანდათანობითი ევოლუცია, საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატება, პარლამენტარული და საპროფესიო შემოქმედება, მშვიდობიანის გზით მიიყვანს კაცობრიობას სოციალიზმამდე და უმტკივნეულოდ, უკატასტროფოდ შესაძლებელი იქნება ერთი სოციალური ცხოვრებიდან მეორეში გადასვლა. ეს თეორია უმთავრესად მარქსიზმის იმ ტრიალს ემყარება, რომელიც ამბობს, რომ ისტორიული ცხოვრების აუცილებლობით ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმი წარმოიშვა. ამ უკანასკნელმა აუცილებლად უნდა მოგვცეს თავისი განვითარებით სოციალიზმი.

ამ მშვიდობიანი თეორიიდან თავის თავად აღმოცენდა მშვიდობიანი სამოქმედო პოლიტიკური ხაზი და ტაქტიკა. უარყოფა რევოლუციონური აქტებისა, როგორც მავნე საშუალების და წმინდა საპარლამენტო მუშაობის გაძლიერება, საჭირო შემთხვევებში ბურჟუაზიის ზურგის გამაგრება და მათთან ერთად ბრძოლა რევოლუციის წინააღმდეგ. ამ პოლიტიკას ახასიათებს შეგნება, რომ ბურჟუაზია მეტს სოციალურს საქმეს აკეთებს, ვინემ რევოლუცია. აქედან ბურჟუაზიულს მთავრობებში შესვლა და კოალიციონიზმი. ამ საერთო ნიადაგზე იდგა წარსულში მილერანიზმი საფრანგეთში და ინგლისის რეფორმისტები, დღეს ამ შეგნებით იკვებება მთელი საერთაშორისო მენშევიზმი და მეორე ინტერნაციონალი, რომელთა წარმომადგენლები დიდი ხნის განმავლობაში ამშვენებდნენ სამეფო მთავრობებს და მათთან ერთად ებრძოდნენ ყოველგვარს რევოლუციონურს გამოსვლებს. რეფორმისტების ბურჟუაზიასთან დაკავშირებისა და შეთანხმების პროცესი დიდის ტემპით ვითარდება დღესაც და მთელს რიგ ქვეყნებში საქმე გვაქვს მენშევიკურად მოაზროვნე პარტიების ბურჟუაზიულ პარტიებთან ბლოკში შესვლასთან. ისტორიულად მენშევიზმა უდიდესი როლი ითამაშა იმ მხრივ, რომ ენერგიულად გაამაგრა ზურგი ბურჟუაზიას ევროპაში, ხელუხლებლად შეუნარჩუნა მას პოლიტიკური ძალა-უფლება და ყოველს გამოსვლების დროს თავისსავე სისხლში ჩაახშო რევოლუციონური პროლეტარიატი. საერთაშორისო მენშევიზმმა ღალატის ისტორიული ნიმუშები მოგვცა პროლეტარიატის წინააღმდეგ და ეს ნიმუშები სხვა და სხვანაირობს სხვა და სხვა ქვეყნებში ადგილობრივ პირობებისა და გარემოების მიხედვით.

მენშევიზმი საერთაშორისო რევოლუციის საზომით კლასიური მტერი არის მუშათა კლასის და მისი დაძლევა არც ისე ადვილი საქმეა. მენშევიზმი მაგარს ნიადაგზედ არის აღმოცენებული, რომელსაც სოციალურად კაპიტალისტური კულტურა ასაზრდოებს და თეორიულად კი—მარქსიზმის კონცეპციები. დაძლევა მენშევიზმისა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კაპიტალისტური ურთიერთობის მოსპობით; როგორც ბურჟუაზიის, ისე მენშევიზმის ლიკვიდაცია შეუძლებელია სანამ არსებობს ის ნიადაგი, კაპიტალისტური კულტურა, რომელმაც მას მისცა დაუშრეტელი სოციალური და თეორიული საკვები. კაპიტალიზმის მეურნეობის ლიკვიდაცია თან გადაიყოლებს თავისი მახინჯი შვილების არსებობასაც.

მაგრამ მენშევიზმის დადებითი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ის ნათელი, პირდაპირი და გაბედულია. ის არ ეფერება რევოლუციონურს ჩარევებსა და არ იხსნება წითელი მანტიით, პირიქით მათთან ბრძოლა პროლეტარიატისათვის ადვილია. ყოველი მათი ნაბიჯი ნათელია და პროლეტარიატს საშუალება აქვს ნათლად შეაფასოს იგი.

სულ სხვა არის დამოუკიდებელი პარტიის მოქმედება, ე. წ. ცენტრის პოლიტიკა. მან უკრიტიკოთ შეითვისა მარქსიზმის ორივე დებულება და გარკვეულს ისტორიულს მომენტებში ხან ერთსა და ხან მეორეს ამოეფარება. ის არ უარყოფს კაპიტალიზმის ევოლუციის მნიშვნელობასა და მისი თვით ლიკვიდაციას, ამავე დროს რევოლუციონური აქტივიზმის მომხრეთაც გამოდის. ერთი სიტყვით ამ მიმართულებას სურდა შეურიგებელი შეერიგებინა და „არც მწვადი დაეწვა და არც შამფური", კაპიტალიც შეენახა და უმანკოებაც შეენარჩუნებინა. ასეთს გაურკვეველს პოზიციაზე დგომამ და საწინააღმდეგო დებულებების მიღებამ ეს პარტია უმოქმედობის პოზიციაზე დააყენა და მთელს მათს პოლიტიკას სწორედ ეს უმოქმედობა ახასიათებდა. მათ სჯეროდათ, რომ კაპიტალიზმი თავის თავად, გარეშე პროლეტარიატის აქტიური ძალდატანებისა, მოამზადებდა ნიადაგს სოციალური გარდატეხისათვის და მხოლოდ კრიტიკულს, კატასტროფიულს მომენტში დასჭირდებოდა პროლეტარიატს აქტივობის გამოჩენა. სწორედ ამ თეორიიდან წარმოსდგება ის უმოქმედობა და პასივიზმი, რომელიც ახასიათებდა ამ მიმართულებას და რომელსაც ან. პანეკუკმა „პასიური რადიკალიზმი" უწოდა. ამ პარტიის პრაქტიკულ პოლიტიკას დახასიათებას უფრო ვრცლად შემდეგს წერილში შევეცდებით. ახლა გადავიდეთ მემარცხენე ფრთის მოკლედ დახასიათებაზე.

სიმონ ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

---

*) შემდეგში მარქსმა თავის „კაპიტალში" უმთავრესი ყურადღება მიაქცია ისტორიული პროცესის სტიქიურ მხარესა და მისს მეცნიერულს დასაბუთებას შეუდგა, რომლის დროსაც თითქმის სავსებით გამოეპარა მხედველობიდან, ადამიანის ნებისყოფისა და შეგნების მნიშვნელობა ისტორიულს პროცესში. ეს გარემოება არ სპობს სუბიექტიური მომენტების არსებობას მარქსისტულს მოძღვრებაში, რის დასამტკიცებელი საბუთები ბლომად არის „კომუნისტურს მანიფესტში", ეს მთლიანად აჩნელებს ამ მომენტებსა და დიდ შანსებს აძლევს იმ მიმდინარეობას, რომელიც თავის პროგრამას კაპიტალიზმის ევოლუციის მექანიკურს განვითარებაზე აშენებს.

ს. ხ.

დი შამილი, ლექსი, რომელიც გამოჰხატავს აფხაზთა თავისუფლებას. ასე და ამდაგვარ ერთ საათზე მეტი გასტანა მხიარულებამ—ამ საკონცერტო განყოფილებამ ასე ვსთქვათ.

ამის შემდეგ ეზოში ტანვარჯიშულ იარაღებზე ვარჯიშობენ ჭკუის ხელმძღვანელობით ბავშვები, ზოგი ამართს აკეთებს ლერძზე, ზოგი ხტის და სხ. საკვირველია ასეთი მცირე ხანში მათი ამდაგვარი შევარდნული წინ წაწევა. ისეთი გატაცებული არიან აფხაზთა ბავშვები შევარდნული ვარჯიშობით, რომ მათი ხელმძღვანელები გვეუბნებოდნენ: „აუცილებლად რამოდენიმე მათგანმა შევარდნული თანწყობა სავსებით უნდა შეისწავლონო და მომავალში გახდენ აფხაზეთის შევარდენის ხელმძღვანელებიო". კარგი აზრია, მით უმეტეს, რომ ასეთ სკოლას, როგორიც არის საქართველოში შევარდენი, ვერსად ისინი სავსებით და მკაცრად ვერ გაივლიან. ასეთია ჩვენი აზრი და ეს ეტყობათ თვით აფხაზთა ბავშვებს, რომელთაც მე მგონი ვერავითარი სხვა წინ დადება ვერ დააკმაყოფილებს ამ შემთხვევაში.

კარგი სანახავია, როდესაც აფხაზთა სახლის ეზოში დიდ სუფრას მწვანის ქვეშ შემოუსხდებიან ბავშვები. იქვე არიან უფროსები. სადილი კარგია. მორიგეები ადგილას არიან. ყველაზე მეტი ხვდება დიდ შამილს, ის მორიგეობს თურმე სურვილისამებრ კვირაობით. თუ კი რამე აკლია, ისმის ხმა გამკისა „შამილ". ქ-ნი ნინო ყოველივეს თვალყურს ადევნებს და ყოველივეს მიუთითებს მორიგეს. მას არაფერი გამორჩება. ის სწუხს ბავშვებისათვის, ბავშვები უყვარს მას. თავის მხრით ყველანი მას მოწიწებით ეპყრობიან.

საერთოდ დიდია ის შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ჩემზე აფხაზთა სახლმა, იქ არსებულ სისუფთავემ, სიფაქიზემ, საქმისადმი სიყვარულმა. კმაყოფილი ვცილდებოდი აფხაზთა სახლს, კმაყოფილებით შევსცქეროდი მათ ნამუშევარს.

ხოსო ახლანიშვილი.

მოწერილი ამბები

ქ. გორი. ა. წ. 8 აგვისტოს, ქ. გორის ქალ. ტეხნიკუმის მოწაფეთა კავშირის მიერ გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელზედაც ამხ. კასრაძემ წაიკითხა რეფერატი შემდეგ თემაზე „ქართული სახალხო პოეზია და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში და ისტორიაში". რეფერატის შინაარსი ბუნდოვანად იყო გადმოცემული. რეფერატი შეეხო სახალხო პოეზიის წარმოშობას და მამოძრავებელ მიზეზებს. ქრონოლოგიურად განიხილა სახ. პოეზიიდან მის უკანასკნელ პერიოდამდე, ბოლო სიტყვაც არა სთქვა მის მომავალზე. ე. ი. იმ პერიოდზე, რომლიდანაც სახალხო პოეზიის მოდუნებულ ძარღვებში აღარ ესხმევა ახალი სისხლი. საერთოდ რეფერენტი დასახელებულ თემას ვერ შეეხო ფართოდ. რეფერატს ეტყობოდა, რომ ცალმხრივად იყო დამუშავებული, რის გამოც საკმაო ორიგინალობას მოკლებული იყო. რეფერატის დასასრულ გაიმართა კამათი, იკამათეს: ვაშალომიძემ, კერესელიძემ და სხვ. ამხ. ვაშალომიძე შეეცადა რეფერატის განადგურებას, მაგრამ.. რეფერატის გარშემო, რეფერენტის ნათქვამის გარდა არსებითად მან ვერა სთქვა რა. მისი სიტყვა პირდაპირ თემაზე რეფერენტის ნათქვამის განმეორებას შეიცავდა, ხოლო სხვა ფორმაში, სხვა სიტყვებით. ყალბი იყო მისი პოზიცია, იმ „ცინიანობაში". რატომ რეფერენტმა სახალხო პოეზიის განხილვასთან ერთად არ „გადაბრუნა" მსოფლიო პოეზია, ანუ როგორც ის ასახელებდა ევროპის (ე. ი. გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების) ვინაიდან რეფერენტი მსოფლიო პოეზიას შეეხო იმდენათ, რამდენათაც აღებულ თემის ფარგლებში დასაშვები იყო. რაც შეეხება ქართულ სახალხო პოეზიაზე და მასთან დაკავშირებით მსოფლიო სახალხო პოეზიის ფართოთ განხილვაზე ლაპარაკს, შეიძლება ყველა ესა, მაგრამ არა იმ ქვეყნების (გერმანიის, ინგლისის და სხვა ევრ. ქვეყნ.) სახალხო პოეზიაზე, რომელსაც ვაშალომიძე ასახელებდა, იმ ადამიანმა, რომელსაც თავი ისტორიის „მცოდნეთ" მოაქვს უნდა იცოდეს, რომ ქარ. სახალხო პოეზია უფრო აზიურ (სპარსულ, არაბულ, ოსმალურ და სხვა ქვეყ.) უკავშირდება და გავლენას განიცდის, ვინემ ევროპისას (გერ. ინგ. და სხ.) მაგრამ ყველაზე საკვირველი იყო ამხ. ვაშალომიძესაგან ქარ. სახალხო პოეზიის ორი სიტყვით განადგურება. მისი შედარება „ბნელ ოთახში მბჟუტავ სანთელთან" და შუბლ შეუხრელი მტკიცება „ქარ. სახალხო პოეზია ფეოდალიზმის ინსტიტუტის გაუქმებისთანავე ქაღალდის ფურცელზე რჩება" ე. ი. მისი „ქმნა" წყდებაო". ალბათ ის არ იცნობს მდიდარ ქარ. სახალხო პოეზიას. არ იცნობს ფეოდალიზმის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ შესანიშნავ მოძრაობის დროს წარმოშობილ სხვა და სხვა სახ. ლექსებს. 1905 წ. შექმნილ აუარებელ სახალხო ლექსებს გურიის, სამეგრელოს და სხვა კუთხეთა მოძრაობიდან. მთელ საქართველოში ყველაზე პოპულიარულ ლექსებს „არსენ ჯორჯიაშვილი" და სხვას, რომლებიც სავსეა რევოლიუციონურ ენტუზიაზმით.

ამხ. კერესელიძეს სიტყვა შეიცავდა კრიტიკას მხოლოდ ამხ. ვაშალომიძეს იმ მოსაზრებაზე, რატომ რეფერანტმა ქარ. სახალხო პოეზიის განხილვასთან ერთად არ „გადაბრუნა" ინტერნაციონალური სახ. პოეზია. საერთოდ რეფერატმა დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთი ამხ. თავის ცოდნას და არ ცოდნას „უდროოდ" და შეუფერებელ ადგილას რომ არ აშკარავებდნენ.

ამ-უ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 12.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

მეფუტკრეობის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო სცნობს რა მეფუტკრეობას სასოფლო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან დარგად, მისი ფართო განვითარებისა და დაცვისათვის—ადგენს:

1. აკრძალულ იქნეს შეზღუდვა რაიმე ნორმით როგორც საფუტკრის სივრცის, ისე სკის რაოდენობისა, აგრეთვე საფუტკრის დაყოფა-დანაწილება ან მისი ჩამორთმევა; ამის მიხედვით საფუტკრეები რჩება მესაკუთრეთა სრულ განკარგულებაში და არავითარ ორგანიზაციას ან კერძო პირს უფლება არა აქვს უკვე არსებულ საფუტკრეების ჩამორთმევისა და სარგებლობისა.

2. აკრძალულ იქნეს ყოველგვარი განკარგულება, რომელიც საზღვრავს ფუტკრის საკვებ და პირადი მოთხოვნილებისათვის საჭირო თაფლის, სანთლის, ხელოვნური ფიჭის და მეფუტკრეობის ინვენტარის რაოდენობას.

შენიშვნა: საფუტკრესთან არსებული სახელოსნო, რომელიც ამზადებს მხოლოდ ამ საფუტკრის საჭირო ხელოვნურ ფიჭს, ყუთებს და სხვა საჭირო საგნების, ითვლება საფუტკრეს ქონებად და არავითარი გადასახადით არ დაიბეგრება.

3. საფუტკრე მეურნეობაზე გადასახადების გაწერა სწარმოებს იმ საერთო წესის მიხედვით, რომელიც მიღებულია საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალური ხელისუფლების მიერ სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებისათვისაც.

საფუტკრე მეურნეობაზე რაიმე საგანგებო გადასახადის დაწესება აკრძალულია.

4. მიწათმოქმედების სამაზრო განყოფილებანი ვალდებულ არიან აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ორგანიზაციათ ან კერძო პირთ, რომელნიც მოისურვებენ მეფუტკრეობის წარმოებას, და მისცენ მათ ფართო საშუალება მოაწყონ საფუტკრე რაც შეიძლება შესაფერ ადგილზე.

აკრძალულ იქნეს ყოველგვარი შეზღუდვა საფუტკრის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე—გადატანისა, ამ მიზნისათვის საჭირო ადგილის მოძებნის და ნაშოვნ ადგილში სკის და საფუტკრე ინვენტარის გადაზიდვის დროს.

შენიშვნა: ყოველ საფუტკრე მეურნეობას ნება აქვს მიიღოს მიწათმოქმედების განყოფილებიდან მფარველობის მოწმობა.

5. აკრძალულ იქნეს საფუტკრე მეურნეობიდან ფუტკრის გადაზიდვის, გადაგზავნის და გაყიდვის შეზღუდვა.

6. გაუქმებულ იქნეს ადგილობრივ ხელისუფალთა ყოველგვარი განკარგულება და დადგენილება, რომელიც ეწინააღმდეგება ამა დეკრეტს.

7. ვინც ამ დეკრეტს დაარღვევს მიცემულ იქნება პასუხისგებაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კანონთა ძალით.

8. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

მიწათმოქმედების სახალხო კომისარი **ს. თოდრია,**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. ივლისის 22

ტფილისი—სასახლე.

ჩვენი ფოსტა

ქ. სენაკი. გ. ხოფერიას. გაზეთი ცვ[illegible] ზავნება ახალ ორგანიზაციას. [illegible] ბა გაგრძელდა.

ქ. ზუგდიდი. ფლორენს. ლექსი არ დაიბეჭდება.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—[illegible] კომიტეტი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილება

აცხადებს საყურადღებოდ წყალსადენის აბონენტებისა (სახლის მეპატრონეთა, მათ მოადგილეთა, კომენდანტებისა და კოლექტივებისა), რომ მათ

ნება ეძლევათ გაასწორებინონ წყალსაზომი კერძო სახელოსნოებში თავის ხარჯზედ შემდეგი პირობათა დაცვით:

1. აბონენტს შემოაქვს წყალსადენის კანცელარიაში განცხადება, რომ მას სურს თავის ხარჯით გაასწორებინოს წყალსაზომი.
2. იხდის წყალსადენის კასაში მასალის და მუშაობის საფასურს ტარიფის მიხედვით, რაც დასჭირდება სახლის შეერთებას მოხსნილი წყალსაზომის ნაცვლად.
3. წყალსადენის სახელოსნო დანიშნულ დღეს თვითონ ხსნის აბონენტის წყალსაზომს და აბარებს მასვე ხელწერილის ქვეშ სახელოსნოს საწყობში.
4. შეკეთების შემდეგ, დანიშნულ დროს წყალსაზომი უნდა მოიტანონ სახელოსნოში საბოლოოდ შესამოწმებლად.
5. თუ წყალსადენი აღმოჩნდა სრულიად გასწორებული, მას შეამოწმებენ და დასდგამენ უფასოდ გარდა მუშაობის ღირებულებისა მე 2 პუნქტის თანახმად. და თუ გაუსწორებელი აღმოჩნდა, უნდა გადაიხადონ წყალსადენის კასაში წყალსაზომის შესწორებისა და დადგმის საფასური.
6. შემოწმება ამ წყალსაზომებისა ხდება აუცილებლად წყალსადენისა და აბონენტის წარმომადგენელთა თანადასწრებით.
7. წყლის ანგარიში წარმოებულ იქნება აუცილებლად ამ წყალსაზომების საშუალებით, მისი შემოწმებისა და დადგმის შემდეგ.

კომუნალური განყოფილების გამგე **ბაქრაძე.**

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის

დიდი ლატარია

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

პირველი მოგება . . . . 500 მილიონი
მეორე " . . . . 100 "
მესამე " . . . . 50 " და სხ.
ქართული ბონებით.

ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 მან.
კუპონი " " 25.000 "
ხვედრ მოგების მიღება 48 საათში.

გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.

მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1,200,000 მან.

ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში.

კრ. 149

ლატარიის მომწყობი კომისია 0—2

ტირაჟი 1000
საქართვ. უმაღ. მეურ. საბ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა.